დუმილის მსხვრევა

პოპულარული კულტურის გამოყენება ახალგაზრდათა ჩართვისათვის ადამიანის უფლებათა შესახებ მოხსენებებში

ავტორი: რაფალ პანკოვსკი
რედაქტორი: ლიამ მაჰონი

გამოქვეყნებულია ”ცენტრი წამების მსხვერპლთათვის” ახალი ტაქტიკების პროექტის მიერ

თარგმანი: ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ცენტრი ”თემიდა”

NEWTactics in Human Rights

ახალი ტაქტიკები ადამიანის უფლებებში

>>>

>>>

>>>

>>>

>>>

დუმილის მსხვრევა

სიძულვილით გამოწვეული დანაშაულების ოფიციალური სტატისტიკა პოლონეთში არ არსებობს. პოლიცია არ ახორციელებს იდეოლოგიურად მოტივირებულ დანაშაულთა აღრიცხვას, ამდენად რასისტული ექსტრემიზმის საკითხი არ არის თვალშისაცემი საზოგადოებისათვის. მოსალოდნელია, რომ თუ სახელმწიფო აწარმოებს ამგვარ სტატისტიკას, იგი შეზღუდული იქნება მხოლოდ რასობრივი ძალადობის განსაკუთრებული საქმეებით (ე.ი. თეთრი შავის წინააღმდეგ). მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ პოლონეთში მსხვერპლთა უმრავლესობა არ მიეკუთვნება ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებს.

პრობლემის აღიარება მისი გადაწყვეტის წინაპირობაა. ამიტომაც Never Again-მა თავის ძირითად მიზნად განსაზღვრა დუმილის მსხვრევა, რომელიც არსებობს ექსტრემისტულ-მემარჯვენე შეხედულებებით გამოწვეულ ძალადობასთან დაკავშირებით.

რეაქცია დაზარალებულთა მხრიდან თითქმის არ არის. ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობის დაახლოებით 2%-ს შეადგენენ,ისინი თითქმის არ ჩანან მედიაში და არ არიან წარმოდგენილნი სახელმწიფო სტრუქტურებში. სხვა დაზარალებული ჯგუფები არიან სოციალურად მარგინალიზირებულნი: ისინი რელიგიურ უმცირესობებს მიეკუთვნებიან (მათ ხშირად სექტებს უწოდებენ, მაგ.: კრიშნაიდები), ან ახალგაზრდათა არატრადიციული სუბკულტურების წარმომადგენლები, მაგ. "პანკები", მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა ხელმწისავდომობის უმნიშვნელო ხარისხით. Never Again-ის როლი არის ხმის მიწვდენა მათთვის, ვინც მოკლებულია ამგვარ შესაძლებლობას. Never Again-ს სწამს, რომ ობიექტური ინფორმაციის მოპოვებითა და გავრცელების გზით, რაც დაედება ანტი-ფაშისტურ ინიციატივებს საფუძვლად, შესაძლებელია საზოგადოებაში სოციალური ცვლილებების მიღწევა. აუცილებელია კონკრეტული ანტი-რასისტული და ანტი-ფაშისტური მაგალითების გამოყენება საზოგადოებაში ტოლერანტობის გავრცელებისათვის.

მცირე რესურსების გამო, ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი ტაქტიკის გამოყენება ძვირადღირებული გამოძიებების, მასობრივი რეკლამებისა და სხვა საშუალებებით. რაც ჩვენ შეგვიძლია, არის რეალური მექანიზმი ძალადობასთან ბრძოლისათვის; პოლონეთში საზოგადოება მზად არის მხარი დაგვიჭიროს ამგვარი რეალური სოციალური პრობლემის გადაწყვეტაში.

ექსტრემისტულ მემარჯვენე შეხედულებათა განვითარება და რასიზმის უარყოფა

1989 წ. შემდეგ პოლონეთმა, რეგიონის სხვა პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებთან ერთად განიცადა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცვლილებები. ეს ავტორიტარული რეჟიმის მსხვრევას მოჰყვა და საზოგადოებაში ფართოდ გავრცელდა დასავლეთთან ინტეგრაციის იდეა. პოლიტიკური გარემო უშვებდა სხვადასხვა უმცირესობათა მიერ თავიანთი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების შესაძლებლობას დემოკრატიულ პირობებში. ამასთანავე, მან დაუშვა ექსრტემისტულ-მემარჯვენე ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც რასიზმსა და შოვინიზმს ქადაგებენ.

დემოკრატიულ განახლებასთან დაკავშირებული მოლოდინი იყო ძალიან დიდი. ცალსახაა, რომ ქვეყანა უკეთესობისკენ შეიცვალა. ამასთანავე, 90-ინ წლებში მოხდა პოლონეთის დემოკრატიის მორალური ფუნდამენტების მორყევა. ახალი დემოკრატიული კულტურა იყო ზედაპირული. ამ კონტექსტმა შექმნა კარგი ნიადაგი მემარჯვენე ექსტრემიზმის გავრცელებისათვის. ამის განვითარება შესაძლებელი გახდა სახელმწიფო სოციალური და პოლიტიკური კონტროლის შესუსტების გამო.

80-იანი წლების დასასრულიდან მოყოლებული რასისტული პოლიტიკური დაჯგუფებები ნელი ტემპებით ვითარდებოდნენ, მაგრამ ეს თვალსაჩინო იყო. მემარჯვენე ექსტრემისტები მხარს უჭერენ მონო-ეთნიკური ქვეყნის შექმნას, რომელიც ერთიან ეროვნულ კულტურაზე იქნება დაფუძნებული. ის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს დემოკრატიის ძირითად ღირებულებებს. გასული ათწლეულის განმავლობაში ამან განიცადა პროგრესი და გადაადგილდა სეიმში (პოლონეთის პარლამენტი). 2001 წლის ოქტომბრიდან და ომის შემდგომ პერიოდში პოლონეთის მემარჯვენე ექსტრემისტებს ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენლობა პარლამენტში - პოლონელ ოჯახთა ლიგა (Liga Polskich Rodzin, LPR), რომელმაც მიიღო ხმათა 7%, რაც 460-დან 40 ადგილს შეადგენს და ამდენად არის ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა.

90-იანი წლების განმავლობაში მემარჯვენე ორიენტაციის ორგანიზაციებმა გაამყარეს თავიანთი პოლიტიკურ-კულტურული საფუძველი პუბლიკაციების, სადისკუსიო კლუბებისა და სოციალური ღონისძიებების მეშვეობით. მნიშვნელოვანი იყო კათოლიკურ-ნაციონალისტური რადიოსადგურის, "მარიას" გახსნა, რომელსაც ჰყავს ასი ათასობით მსმენელი. ხშირად, რადიოსადგური ნებას რთავს ექსტრემისტულ ორგანიზაციებს გადასცენ ეთერით თავიანთი პოლიტიკური გზავნილები, რითაც უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი

>>>

>>>

>>>

>>>

>>>

>>>

კორესპონდენტთა ანგარიშების გამოყენება

Never Again არ ცდილობს იყოს აკადემიური ინსტიტუტი. ინფორმაციის მოძიებისა და გამოქვეყნების ჩვენებური საქმიანობა უფრო მეტად შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც "აქტივისტური ჟურნალისტიკა". ამავდროულად, Never Again ჟურნალი აქვეყნებს ანალიტიკურ სტატიებს პრობლემასთან დაკავშირებით, რითაც მნიშვნელოვანი ინტელექტუალური ფორუმის სახით გვევლინება.

რათქმაუნდა, ამ ინფორმაციის მოძიება უსარგებლო იქნება, თუ ჩვენ არ შეგვეძლება მისი გამოყენება პოლიტიკური ცვლილებებისათვის. ორგანიზაცია ცდილობს ყურადღებით გააანალიზოს კორესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია და გამოაქვეყნოს ანგარიშები, რომლებსაც შეეძლებათ პოლონეთის საზოგადოებაზე პოზიტიური ზეგავლენის მოხდენა.

მონაცემთა გაანალიზება

პირველი ნაბიჯი შედგება ინფორმაციის გაგებისა და დამუშავებისაგან. ამისათვის Never Again-ის გუნდისათვის აუცილებელია ახალგაზრდებისათვის დამახასიათებელი სხვადასხა მოვლენის უშუალო გაგება. მაგ.: სიმბოლოების გამოყენების მნიშვნელობა შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს ინცინდეტის ბუნების გაგებისათვის.

ერთ-ერთი ასეთი სიმბოლო არის კელტური ჯვარი, აგრეთვე ცნობილი, როგორც "თეთრი ძალის" სიმბოლო. იგი წარმოიშვა შუასაუკუნეების ირლანდიაში და ეხლაც გამოიყენება, როგორც უძველესი კელტური იდენტურობის ნაწილი. მაგრამ, მე-20 საუკუნეში ნეო-ფაშისტური საერთაშორისო მოძრაობის სიმბოლოდ გადაქცევის შემდეგ, მან ევროპაში მიიღო აბსოლუტურად განსხვავებული მნიშვნელობა. კელტური ჯვარი მეტად გამოიყენებოდა სვასტიკის ნაცვლად, საზოგადოების მხრიდან ნეგატიური რეაქციისა და სამართლებრივი ხასიათის მიზეზთა გამო. სვასტიკის გამოყენება პოლიტიკური სიმბოლოს სახით აკრძალულია ევროპის ბევრ ქვეყანაში. კელტური ჯვარი კი ნაკლებად ცნობილია საზოგადოებისათვის და ამდენად შედარებით მისაღებია საზოგადოებისა და ოფიციალურ პირთათვის. რამოდენიმე წლით ადრე მისი გამოყენება აგრეთვე აიკრძალა გერმანიაში. თეთრი ძალის სიმბოლო დღესდღეობით მიღებულია რასისტული ელემენტების მიერ საფეხბურთო მოედნებზე. პოლონეთის სტადიონებზე ამგვარი სიმბოლოების გამოყენებას ოფიციალური პირები ცდილობენ არ გამოეხმაურონ, რაც გარკვეულწილად გამოწვეულია ამ სიმბოლოების ფაშისტური მნიშვნელობის უარყოფით.

ასეთ სიმბოლოებში გარკვევა აუცილებელია დამნაშავის ბუნების დადგენისათვის, თუ ვინმე ატარებს მათ თავის მაისურზე, სამკერდო ნიშნებზე, სხვ. ზოგჯერ მნიშვნელოვანია ფაშისტური შინაარსის ნახატებისათვის ყურადღების მიქცევა. ჩვენ ვცდილობთ ამ ინფორმაციის ნაწყვეტების ერთად თავმოყრას. ამდენად, ზოგჯერ შეგვიძლია დანაშაულის იდეოლოგიური ბუნების დადგენა, მიუხედავად ოფიციალურ პირთა უარყოფითი დამოკიდებულებისა, თითქოსდა ამგვარი დანაშაულები წარმოადგენენ ხულიგნობის ფაქტებს.

2000 წ. დეკემბერში ქ. ბრზეგში მცხოვრებ რომათა ოჯახებზე განხორციელდა განმეორებითი თაცდასხმა ნეო-ნაცისტების მიერ, რომლებმაც ღამით გამოსახეს რასისტული ნახატები მათი სახლების კედლებზე და შეეცადეს შეემტვრიათ სახლის კარებები და ფანჯრები. პოლიციას რამოდენიმეჯერ გამოუძახეს, მაგრამ მათ არ მოვიდნენ დროზე, რათა დაეკავებინათ დამნაშავენი. ლოკალური პრესისათვის მიცემულ კომენტარებში პოლიციის ოფიცერი აღნიშნავდა, რომ ეს იყო რომათა მიერ გამოგონილი ამბავი. სტეფან გორნიცკი, ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელის მოადგილე აცხადებდა, რომ რომებმა თვითონ გამოიყვანეს ნახატები თავიანთი სახლების კედლებზე. მან განაცხადა, რომ რომებმა მოამზადეს ერთმანეთი არასწორი ჩვენებების მისაცემად, რათა შემდეგ მოეძიათ თავშესაფარი შვეიცარიასა ან ინგლისში. მას შემდეგ, რაც Never Again-ს რომათა უფლებების დაცვის ორგანიზაციამ დახმარება სთხოვა, ლოკალურმა კორესპონდენტმა დაიწყო დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება. გამოირკვა, რომ ზოგიერთი ნახატი გაკეთდა სპეციალური ნიმუშის თანახმად, რომლებსაც იყენებდა ფაშისტური ორგანიზაცია: თეთრი არწივის კავშირი - პოლონეთის ეროვნული პარტია. იერიშის განხორციელებამდე მცირე დროით ადრე ამ ორგანიზაციის ფილიალი გაიხსნა ახლოს მდებარე ქ. ოპოლეში.

Never Again ჟურნალი და მედია

მონაცემთა გამოყენება მრავალი მიმართულებით არის შესაძლებელი, მაგრამ საზოგადოებისათვის ძალადობის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდების საუკეთესო გზას წარმოადგენს Never Again-ის ჟურნალი. მისი ყოველი ნომერი შეიცავს მარტინ კორნაკის მიერ რედაქტირებულ ინფორმაციას, რასობრივი ექსტრემიზმის ნიადაგზე განხორციელებული ძალადობის ფაქტების შესახებ. ნუსხა ეფუძნება კორესპონდენტთა ანგარიშებს.

>>>

>>>

>>>

>>>

>>>

>>>

>>>

>>>